



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბანკარბულება №30

აბაშა, 2019 წლის 8 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის“, პირდაპირი ბანკარბულის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლისა და 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრს“ (ს/ნ 205307960), მისი ფუნქციონირების ვადით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. აბაშა, თავისუფლების ქ. №143-ის მიმდებარე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.0134.340) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 500 კვ/მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 142.76 კვ/მ.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაში მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანი